



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 243/ს
29/05/2023

243-21-4-202305291403



ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეორე სვირში ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალის მიერ მდ. ყვირილას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში წარმოდგენილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეორე სვირში მდ. ყვირილას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავარიული მონაკვეთი მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეორე სვირში დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენის მდ. ყვირილას გადაკვეთის მიდამოებში (კმ ნიშნული 264+733). მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე ადგილი აქვს ნაპირის ინტენსიურ გამორეცხვას, რაც საფრთხეს უქმნის ამავე ნაპირზე არსებულ მოხრეშილ გრუნტის გზას, რომელიც გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა“ და ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალის მომსახურე პერსონალის მიერ. მდ. ყვირილას ნაპირის გასამაგრებლად და არსებული გზის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია 351 მეტრი სიგრძის ნაპირსამაგრი ნაგებობის (რიპრაპის) მოწყობა. საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის განთავსების საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-329859.40, Y-4666720.20; X-329873.23, Y-4666726.00; X-330098.80, Y-4666487.93; X-330099.97, Y-4666502.88. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 1170 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის სიგრძე იქნება 351 მ, ხოლო სისქე მდინარის კალაპოტში იქნება 2 მ, მდინარის მარჯვენა ფერდზე კი 1.5 მ.

საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის მოსაწყობად გამოყენებული იქნება 12678 მ³ ფლეთილი ქვა და 4710 მ² გეოტექსტილი (Terram GT3000).

დოკუმენტში წარმოდგენილია დაგეგმილი ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალის მიერ დაგეგმილი საქმიანობის, კერძოდ, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია მდ. ყვირილას ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ყვირილას ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდ. ყვირილას სიგრძეა 140 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 3598 კმ². დოკუმენტის თანახმად, 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯი, საპროექტო უბანზე, შეადგენს 1478 მ³/წმ-ს, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღმე - 10.2 მ-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კუთვნილ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია დროებითი სამშენებლო მოედნის განთავსება, სადაც მოეწყობა საოფისე კონტეინერი და ავტომანქანებისა და სამშენებლო ტექნიკის პარკირების უბანი (GPS კოორდინატები: X-330042.31, Y-4666632.39; X-330058.26, Y-4666640.73; X-330044.19, Y-4666667.64; X-330028.24, Y-4666659.30). ნაპირდაცვითი სამუშაოები მოიცავს მდინარის ნაკადის ძველ კალაპოტში გადამისამართებას; მდინარის კალაპოტის გაწმენდას და გაფართოებას საპროექტო რიპრაპის საპირისპირო მხარეს; რიპრაპის ფერდის მოსაწყობად გრუნტის დამუშავებას და შემდგომ გეოექსტილის (Terram 3000 GT) და რიპრაპის მოწყობას. ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულების შემდგომ საპროექტო ტერიტორია მოწესრიგდება და აღდგება პირვანდელი მდგომარეობა. ნაპირდაცვითი სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 4 თვეს. ნაპირდაცვით სამუშაოებში გამოყენებული იქნება: 9 ავტოთვითმცლელი, 2 ექსკავატორი ერთი ბულდოზერი და ერთი თვითდამტვირთავი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. ნაპირდამცავი სამუშაოების ჩატარების პერიოდში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა მოხდება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკის მუშაობის და ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად. ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, ასევე, მოსალოდნელია ინერტული მასალების მართვის პროცესში. ნაპირსამაგრი სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობის (დაახლოებით 4 თვე) და უახლოესი საცხოვრებელი სახლის (1170 მ) დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დროებითი და უმნიშვნელო.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პერიოდში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა. აღსანიშნავია, რომ ხმაურითა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას ექნება დროებითი ხასიათი. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში ხმაურით და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილის (1170 მ) გათვალისწინებით, არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში მდ. ყვირილას დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, მუდმივად შემოწმდება სამუშაოების დროს გამოყენებული ტექნიკისა და დანადგარების გამართულობა და გატარდება შესაბამისი ზომები. სამშენებლო მოედანზე არ იქნება შეტანილი არავითარი სხვა სახის სამშენებლო მასალა, ნაპირსამაგრი ნგებობის მოსაწყობად საჭირო ბუნებრივი ფლეთილი ქვებისა და გეოტექსტილის (Terram 3000 GT) გარდა. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დაგეგმილია წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მდ. ყვირილას დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენის გადაკვეთის მიდამოებში მდინარის კალაპოტი აგებულია მეოთხეული ასაკის ალუვიური, კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტებით. მდინარის მარცხენა სანაპირო ფერდობის ძირში გაშიშვლებულია ნეოგენური ასაკის ძირითადი ქანები, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია გამოფიტული და საშუალო სიმტკიცის მერგელების, ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობით. მასზე განფენილია მცირე სისქის (0.5 მ-მდე) ალუვიური კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტები, რომლებიც გადაფარულია მეოთხეული ასაკის დელუვიური თიხური გრუნტებით. დაგეგმილი ნაპირსამაგრი სამუშაოები უზრუნველყოფს საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების პრევენციას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებულია დაახლოებით 13500 მ³ მოცულობის გრუნტის ექსკავაცია, რომელიც სრულად იქნება გამოყენებული უკუყრისთვის. რაც შეეხება ნაპირდაცვითი სამუშაოების პროცესში, დროებით სამშენებლო მოედანზე მოსახსნელ ნიადაგის ნაყოფიერ ფენას (დაახლოებით 164.10 მ³), მისი მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის

2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენურად სახეცვლილია და არ წარმოადგენს ცხოველებისთვის ხელსაყრელ საბინადრო გარემოს. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხე-მცენარეული საფარის ჭრა გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება არ იქნება დაკავშირებული გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

მდ. ყვირილას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს მდინარის სანაპირო ზოლის დაცვას ეროზიული ზემოქმედებისგან. სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის, ხანგრძლივობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეორე სვირში ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალის მიერ მდ. ყვირილას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

